განკარგულება:**g-31.31220841**
თარიღი:**25/03/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №10

2022 წლის 25 მარტი

ქ. ლანჩხუთი

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი , ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4[1] მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისათვის - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი